

საქართველოს შრომის სამართალი და შრომითი უფლებები  
ევროინტეგრაციის გამოწვევების ფონზე და პოლიტიკურ ტრანზიციებში

გიგა ბახტაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლაში საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მიქელაძე,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

გიგა ბახტაძე

01.07.2019.

## აბსტრაქტი

დღეს შრომითი უფლებები და შრომის უსაფრთხოება ჩვენს საზოგადოებაში, სხვა სოციალურ საკითხთან გვერდით მნიშვნელოვან ყურადღების საგანს წარმოადგენს. შრომის სამართალი სპეციფიური დარგია და იგი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვის ინტერესს უნდა წარმოადგენდეს. ეს, არა მარტო აუცილებელია რა ჩვენი ქვეყნის ევროპული მიმართულებით განვითარებისთვის, აგრეთვე საქართველოს ხალხის ღირსეული, ყოფა-ცხოვრებასა და თავისუფალი თანაცხოვრებისთვის, სოციალურად სამართლიანი, დემოკრატიული სახელმწიფოს შენების გზაზე, რომლის მშენებელი თავისუფალი ადამიანია, რადგან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით ადეკვატური სარგებლობა, მხოლოდ გაჭირვებისგან თავისუფალ ინდივიდებს ძალუძთ. სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, ღირსეული, სამართლიანი შრომის უფლება მთავარი საშუალება და შესაძლებლობაა საზოგადოების გასათავისუფლებლად.

იდეოლოგიების, პოლიტიკური შეხედულებების, პროგრესის სურვილის და ევროპასთან დაახლოვების ფონზე, შრომის სამართალმა ჩვენს ქვეყანაში საფუძვლიანი გარდაქმნები განიცადა. წინამდებარე ნაშრომში შეფასებულია შრომის მომწესრიგებელი აქტების ავკარგიანობა, საქართველოს პირველ რესპუბლიკაში და დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. დროის ამ პერიოდებში მან ძირეული ტრანსფორმაცია განიცადა, რეგულირების პოლიტიკიდან დერეგულირებამდე და შემდეგ ევროკავშირის მოთხოვნების გათვალისწინებით, საერთაშორისო ვალდებულებების ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში მეტნაკლები სიზუსტით ინპლემენტაციით. მაგრამ შრომის კანონები სრულიად რაციონალურად, რომ იყოს მოწესრიგებული თუ ისინი რეალურად არ ხორციელდება პრაქტიკაში მხოლოდ ფურცლებზე წარწერები არიან.

## **Abstract**

Nowdays labour rights and security are essential topics with society along other social issues too. Justice of labour is specific field and it must be the special interest for the government. it is not only necessary to develop our countries European future also it is important for our peoples welfare. On the road to build democratic state with social justice, where the builder is the free man, because the man who uses political and civil rights in the useful way is the man who is free from poverty and exploitation. One of the main components of social economic is the worthy and fair right of labour and the opportunity to free the society. Based on ideologies, political ideas, the will of progress and connection to Europe, the justice of labour changed the basics and transformed in a several times. In this master thesis is discussed about labour acts from the first republic of Georgia and also since of restore of independency. During that period it changed its basics, from regulation policy to deregulation policy and after to take into consideration the demands of European Union which is based on international obligations at the national field more or less precisely. But to fully regulate the laws of labour it should be practiced in real life and not only be written on papers.